



ქართული უნივერსიტეტის IX პირად-გუნდური ოლიმპიადა
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად

ისტორია - X კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____
სკოლა, კლასი _____
თანაგუნდელის გვარი, სახელი _____
მასწავლებლის გვარი, სახელი _____

I დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

ინსტრუქცია

ყოველ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.
უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება ერთი (1) ქულით ფასდება.

- (1) 1. რამდენი დღისგან შედგება მთვარის წელიწადი (მთვარის კალენდრის მიხედვით)?
ა. 354 ბ. 366 გ. 376 დ. 384
- (1) 2. ვინ არის ავტორი ნაშრომის „ქართველი ერის ისტორია“?
ა. თედო სახოკია ბ. დიმიტრი ბაქრაძე გ. ივანე ჯავახიშვილი დ. პლატონ იოსელიანი
- (1) 3. რამდენ თვედ იყოფოდა წელიწადი რომაული კალენდრის მიხედვით?
ა. 9 ბ. 10 გ. 11 დ. 12
- (1) 4. რომელ წელს მიიღეს საქართველოში გრიგორიანული კალენდარი?
ა. 1917 წ. ბ. 1918 წ. გ. 1936 წ. დ. 1948 წ.
- (1) 5. რომელ წელს არის პირველად მოხსენიებული ტერმინი „ქრისტეს შობიდან“ საეკლესიო დოკუმენტებში?
ა. 741 წ. ბ. 742 წ. გ. 743 წ. დ. 744 წ.
- (1) 6. ვის ეკუთვნის ნაშრომი „ქვათა დაღადი“?
ა. პლატონ იოსელიანს ბ. ივანე ჯავახიშვილს გ. ილია ჭავჭავაძეს დ. დიმიტრი ბაქრაძეს
- (1) 7. ვინ შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“?
ა. ერეკლე II-მ ბ. დავით IV-მ გ. ვახტანგ VI-მ დ. როსტომ ხანმა
- (1) 8. რა ერქვა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ზევსის მამას?
ა. კრონოსი ბ. ურანოსი გ. გეა დ. ჰადესი
- (1) 9. რომელი წლიდან იწყება მუსლიმური წელთაღრიცხვა?

ა. 621 წლიდან ბ. 622 წლიდან გ. 632 წლიდან დ. 633 წლიდან

(1) 10. ვის ეკუთვნის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“?

- ა. ვახუშტი ბაგრატიონს ბ. ომან ხერხეულიძეს
გ. პაპუნა ორბელიანს დ. სეხნია ჩხეიძეს

(1) 11. ვინ გამოიყენა პირველად ტერმინი „არქეოლოგია“?

- ა. ფრიდრიხ ბაიერნმა ბ. ჰაინრიხ შლიმანმა გ. რობერტ კოლდევეიმ დ. პლატონმა

(1) 12. რომელ წელს დაიწყო განადგურებული ქალაქის პომპეის გათხრები?

- ა. 1747 წ. ბ. 1748 წ. გ. 1749 წ. დ. 1750 წ.

(1) 13. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული „მიუნხენის გარიგება“?

- ა. ავსტრიის ბ. ფინეთის გ. პოლონეთის დ. ჩეხოსლოვაკიის

(1) 14. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ვინ გახდა საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი?

- ა. კირიონ II ბ. ლეონიდე გ. ამბროსი დ. ქრისტეფორე

II დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით რომის იმპერატორები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული იმპერატორის შესაბამისი ციფრი. II დავალება ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 15. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ რომის იმპერატორები

1. ტიბერიუსი 2. კლავდიუსი 3. ნერონი 4. ვესპასიანე

--	--	--	--

(4) 16. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ რომის იმპერატორები

1. დომიციანე 2. ტრაიანე 3. ადრიანე 4. ელიუს ანტონინუსი

--	--	--	--

III დავალება - შესაბამისობის პოვნა

ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში "X" ნიშანი დასვით სწორი პასუხის ადგილზე. მაგ: თუ თვლით, რომ კიროსი ირანში მოღვაწეობდა, მაშინ "X" ნიშანი დასვით "3"-ის და "ა" -ს გადაკვეთაზე. დავალება მაქსიმუმ ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 17. იპოვეთ შესაბამისობა ისტორიულ პირსა და ქვეყანას შორის

- 1. ხამურაბი ა) ირანი
- 2. გილგამეში ბ) ბაბილონი
- 3. კიროსი გ) ჩინეთი
- 4. სუფილულიუმა I დ) შუმერი
 ე) ხეთების სამეფო
 ვ) ინდოეთი

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						
2						
3						
4						

IV. დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულა), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულა). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. დავალება მაქსიმუმ ოთხმეტი (14) ქულით ფასდება.

(14) 18. ვახტანგ VI-ის კულტურული მოღვაწეობა

1704 წელს ირანის შაჰმა ქართლის მმართველად (ჯანიშინად) ვახტანგ VI დანიშნა. ის იყო შაჰის მიერ ავღანელთა დასამორჩილებლად გაგზავნილი ქართლის მეფის გიორგი XI-ის დისწული.

ვახტანგმა ქვეყნის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა: ერთგული თავადაზნაურებით „მორიგე ჯარი“ შექმნა; განაახლა თბილისის სიონის, სვეტიცხოვლის, ურბნისისა და სხვა ეკლესიები. წესრიგის განსამტკიცებლად ვახტანგმა ძველი ქართული სამართლის ძეგლები ერთ კრებულად შეკრა და თავისი კანონებიც დაურთო. ვახტანგის სამართალი მთელ საქართველოში მოქმედებდა.

ვახტანგი სამეცნიერო, ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. არაბულიდან თარგმნა პოპულარული თხზულება „ქილილა და დამანა“. მან რუსულიდან თარგმნილი რომის იმპერატორთა ბიოგრაფიები გალექსა და „სიბრძნე მაღალობელი“ უწოდა. ვახტანგ VI ქიმიის სახელმძღვანელოს ავტორიც იყო. მისივე ბრძანებით შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ გადამუშავება და XIV-XVII საუკუნეების ისტორიის დაწერა დაავალა. ამ საქმეში ვახტანგიც აქტიურად მონაწილეობდა - „ქართლის ცხოვრების“ გვერდებზე მისი კომენტარებია შემორჩენილი. ამ დროს მოღვაწეობდა ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი, ვახტანგ VI-ის შვილი, ვახუშტი ბაგრატიონი.

1709 წელს მცხეთაში პირველი ქართული სტამბა დაარსდა. ამ საქმეში ვახტანგ VI-ს ბულგარეთში მოღვაწე ქართველი ბერი - ანთიმოზ ივერიელი დაეხმარა. ჩვენამდე ოცმა ნაბეჭდმა წიგნმა მოაღწია. მათი უმრავლესობა სასულიერო ხასიათისაა (სახარება, დავითნი და სხვ.). 1711 წელს ვახტანგ VI-ის რედაქციითა და კომენტარებით გამოიცა პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“.

ვახტანგ VI-ის დროს მოღვაწეობდა სულხან-საბა ორბელიანი. მან დაწერა ცნობილი იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე-სიცრუისა“. სულხან-საბა ორბელიანმა, მრავალწლიანი შრომის შედეგად, შეადგინა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ქართლში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, რაც „ოსმალბაში“ გამოიხატა, ვახტანგ VI იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და რუსეთში გახიზნულიყო, სადაც გარდაიცვალა. ვახტანგ VI დაკრძალულია ქალაქ ასტრახანში.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		